<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 76) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 30-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პარტია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანებას მიიღებს შესაბამისი მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის მეორე დღიდან მომდევნო მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის დღემდე. პარტიას უფლება აქვს, მისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლების წარმოშობიდან 1 თვის ვადაში უარი თქვას ამ დაფინანსების მიღებაზე, რისთვისაც ის სათანადო წერილობითი განცხადებით მიმართავს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. პარტია კარგავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ფაქტობრივი რაოდენობა მის მიერ მიღებული მანდატების ნახევრამდე მაინც შემცირდება. ამ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან.

6. პარტია შესაბამისი მომდევნო 6 კალენდარული თვის საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი საქართველოს პარლამენტის შესაბამისი წინა მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება მორიგი პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს. ამ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუჩერდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან.“.

2. 39^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. 2024 წლამდე ჩატარებულ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილე პარტია კარგავს საქართველოს

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის მიერ საარჩევნო ბლოკის საარჩევნო სიაში შეყვანილ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთაგან არჩეული პარლამენტის წევრების ფაქტობრივი რაოდენობა აღნიშნული პარტიის მიერ მიღებული მანდატების ნახევრამდე მაინც შემცირდება. ამ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან.

4. 2024 წლამდე ჩატარებულ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილე პარტია შესაბამისი მომდევნო 6 კალენდარული თვის საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ ამ პარტიის მიერ საარჩევნო ბლოკის საარჩევნო სიაში შეყვანილ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთაგან არჩეული პარლამენტის წევრების ნახევარზე მეტი საქართველოს პარლამენტის შესაბამისი წინა მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება მორიგი პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს. ამ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუჩერდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან.“.

მუხლი 2. პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც ამ კანონის ამოქმედებამდე დაკარგა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების საფუძველზე მოპოვებული, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლება, ამ კანონის ამოქმედებისთანავე აღუდგება ეს უფლება. ამასთანავე, ამ პოლიტიკურ პარტიას მიეცემა ყველა ის თანხა, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების სახით ამ კანონის ამოქმედებამდე მიიღებდა იგი, რომ არ დაეკარგა დაფინანსების მიღების ზემოაღნიშნული უფლება. აღნიშნულ პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს, ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უარი თქვას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღებაზე, რისთვისაც ის სათანადო წერილობითი განცხადებით მიმართავს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი